მეორანდუმი

რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის დაფუძნების შესახებ

ქ. ქუთაისი 9 ივლისი 2021 წელი

მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეები:

სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი,

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია,

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

შპს - კავკასიის უნივერსიტეტი,

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი,

სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებები რექტორების/პრეზიდენტების სახით, თანხმდებიან რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის დაფუძნების შესახებ

მუხლი 1

1.1 საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორების კონფერენცია (შემდგომში კონფერენცია) არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც აერთიანებს საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებს, კონფერენცია დაკავებულია რეგიონული უნივერსიტეტების პრობლემებით, იხილავს ამ საკითხებს და საერთო პრობლემურ საკითხებს წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, და/ან შესაბამის სტრუქტურებს.

1.2 კონფერენცია თანამშრომლობს საქართველოს რექტორთა კონფერენციასთან

1.3 დაწესებულებები თანხმდებიან, რომ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში აქვთ ერთნაირი ან მსგავსი მიზნები, ერთმანეთისათვის ურთიერთსასარგებლო ინტერესები, რომელთა გატარებას ეცდებიან ერთობლივი საქმიანობით.

1.4 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, კონფერენციის დამფუძნებლები ერთმანეთს აცხადებენ ამ მემორანდუმის ფარგლებში დადგენილი ერთობლივი საქმიანობის, ამავე მემორანდუმით განსაზღვრული წესით, ერთობლივად განმახორციელებელ დაწესებულებებად, რაც არ გულისხმობს მათ შერწყმას, შეერთებას, რეორგანიზაციას ან სხვაგვარი გზით თავიანთი იურიდიული პირის შექმნას ან უფლებამოსილების რაიმე სახით შეზღუდვას ან შეკვეცას ან სხვა პირისათვის გადაცემას.

1.5 წინამდებარე მემორანდუმი საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობის იდეას ეფუძნება, რომლის მიზანია რეგიონული უნივერსიტეტების საქმიანობის ეფექტიანობის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა, რათა შექმნან ერთობლივი თანამშრომლობის პლატფორმა.

1.6 მემორანდუმის საგანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების თანამშრომლობა, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავებით, ინფორმაციის გაცვლით, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით რეგიონული უნივერსიტეტების წინაშე მდგარი საკითხების ეფექტიანი გადაწყვეტა.

1.7 საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემების გამოვლენისა და შესწავლის შედეგად რეგიონული უნივერსიტეტები განსაზღვრავენ ძირითად პრიორიტეტებს და ჩამოაყალიბებენ რექტორთა რეგიონული კონფერენციის ერთბლივ სტარტეგიულ და სამოქმედო გეგმებს.

1.8 უნივერსიტეტები მუდმივად განავითარებენ კონტაქტებს და გამართავენ კონსულტაციებს ურთიერთობების დამყარების, განათლებისა და სამეცნიერო სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2

2.1 კონფერენციას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მანდატი ხელი შეუწყოს რეგიონულ უნივერსიტეტებს სერვისების/ოპერირების გაუმჯობესებისა და საკუთარი რესურსების ეფექტიან მართვაში.

2.2 მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები ითანამშრომლებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტების მოსამზადებლად და განსახორციელებლად, ერთობლივი კონფერენციებისა და სამეცნიერო ფორუმების მოსაწყობად, ინფორმაციის, ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაცვლის, კონფერენციის ხელმომწერი უნივერსიტეტების უფრო ქმედითი/ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის.

2.3 კონფერენცია კოორდინაციას გაუწევს ურთიერთობებს რეგიონალურ უნივერსიტეტებს შორის, ურთიერთობებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მმართველ ორგანოებთან, ბიზნესთან და მუნიციპალურ დაწესებულებებთან.

2.4 მემორანდუმის მიზნებისა და ამოცანების განსახორციებლად მხარეები ითანამშრომლებენ ადგილობრივი და/ან უცხოელი პარტნიორების ჩართულობით.

მუხლი 3

3.1 რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის დამფუძნებლები არიან საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტები, წარმოდგენილი რექტორ(ებ)ის/პრეზიდენტ(ებ)ის მიერ

3.2 კონფერენციის მართვის ორგანოა კონფერენციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობს კონფერენციის ხელმძღვანელი. კონფერენციის საერთო კრებას ხელმძღვანელობს კონფერენციის ხელმძღვანელი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონფერენციას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3.3 კონფერენციის ხელმძღვანელი აირჩევა კონფერენციის საერთო კრების მიერ სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობით, რეგიონული უნივერსიტეტების ხელმძღვანელებიდან 2 წლის ვადით. მომდევნო ხელმძღვანელის დასახელება შესაძლებელია საერთო კრების სხდომაზევე, და არჩევა ხდება კონფერენციის საერთო კრების უმრავლესობის მიერ

3.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე ტარდება საერთო კრების თავმჯდომარის - კონფერენციის ხელმძღვანელის ახალი არჩევნები. ერთი და იგივე პირი ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ.

3.6 კონფერენციის ხელმძღვანელი უძღვება საერთო კრების სხდომებს და მისი ფუნქციაა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი. კონფერენციის პირველი ხელმძღვანელი აირჩევა კონფერენციის დამფუძნებელი სხდომის მიერ, ხსენებულ სხდომაზე დამსწრე პირთა ხმების უმრავლესობით.

3.7 კონფერენცია ფუძნდება უვადოდ და თითოეულ წევრს კონფერენციაში ავტომატურად წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი - რექტორი/პრეზიდენტი ან რექტორის/პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი პირი (ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე საერთო კრების მიერ მიიღება ცნობის სახით).

3.8 კონფერენციის მიზნებისათვის ერთობლივ საქმიანობაში წევრთა მონაწილეობა გამოიხატება მათ მიერ თავიანთი ინტელექტუალური რესურსისა და არსებული გამოცდილების გამოყენებაში წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად,

3.9 წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, კონფერენციის ფუნქციონირება შესაძლებელია შეწყდეს საერთო კრების ერთობლივი გადაწყვეტილებით. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებული, როგორც შინაარსობრივი ისე პროცედურული საკითხები, შესაძლებელია დარეგულირდეს კონფერენციის საერთო კრების მიერ, რაც აისახება საერთო კრების ოქმში.

3.10 კონფერენციას შეიძლება დაემატოს ახალი წევრი, რეგიონალური უნივერსიტეტი, თუკი ის წერილობითი ფორმით მიმართავს კონფერენციის თავმჯდომარეს და მას მხარს დაუჭერს კონფერენციის წევრების რაოდენობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 4

მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი სახის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5

ამ მემორანდუმის ინტერპრეტაციისა და განხორციელებისას მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 6

მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთთანხმობის საფუძველზე, შეიტანონ შესწორებები ამ მემორანდუმში, რომლებიც გაფორმდება ცალკე შეთანხმების სახით და ძალაში შევა იმავე წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ამ მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის. შეთანხმება იქნება ამ მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 7

ეს მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და გრძელდება უვადოდ ვიდრე კონფერენციის უმრავლესობა არ მიიღებს გადაწყვეტილებას მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 11 ეგზემპლარად, ყოველ ხელმომწერ პირს გადაეცემა მემორანდუმის ორიგინალის ერთი ვერსია.

ხელმომწერები:

სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი როლანდ კოპალიანი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი მერაბ ხალვაში

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი მაია ჭიჭილეიშვილი

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რექტორი ირაკლი შარაბიძე

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი ირმა შიოშვილი

შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

პრეზიდენტი კახა შენგელია

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი მაკა ბერიძე

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი

რექტორი გოჩა თუთბერიძე

სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აღმასრულებელი დირექტორი/რექტორი ალექსანდრე თევზაძე

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი თეონა ხუფენია

თ. ხუფენია